პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-15 წელი.

№ 142 (1312) | ხუთშაბათი, 27 ნოემბერი, 1958 წ. ფასი 30 კაპ.

## ა. ქიტეცკი — 153,5 კგ

ვინიცა. აქ შედგა სპორტსაზოგადოება „ავანგარდის" ცენტრალური საბჭოს პირველობა სიმძიმეთა აწევაში.

შეჯიბრებაში კონკურსგარეშე მონაწილეობდა ადგილობრივი პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ა. ქიტეცკი (ქვემძიმე წონა), მან აწია 153,5 კგ, რაც 500 გრამით აღემატება ვ. სტეპანოვის მსოფლიო რეკორდს.

---




ხარკოვი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). მესამე ტურის შემდეგ შედგა გადადებული პარტიების დამთავრება. გაფრინდაშვილმა დაამთავრა ორი პარტია. მან ადვილად მოუგო ტიხომიროვას და შეურიგდა ყაიმს ზატულოვსკაიასთან. ტოგონიძემ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა იგნატიევასთან. მსოფლიო ჩემპიონმა ბიკოვამ ორ პარტიაში ზატულოვსკაიასა და მალინოვასთან ერთნახევარი ქულა მოაგროვა. ნისემბოინმა ადვილად მოახდინა უპირატესობის რეალიზაცია რუბცოვასთან და გაიმარჯვა. ზვორიკინამ მოუგო სტრანდსტრემსს, იაკირმა—გოჰენბერგს, როოტარემ — იგნატიევას და ჩაიკოვსკაიამ — სტრანდსტრემს. ყაიმით აღინიშნა 5 პარტია: ჩაიკოვსკაია-ფილანოვსკაია, მალინოვა-კუშნირი, კუშნირ-ფილანოვსკაია, გურფინკელ-როოტარე და ტიხომიროვა-ვოლპერტი.

მეოთხე ტურში ბიკოვამ ენერგიული თამაშით მე-17 სვლაზე მოუგო იაკირს ლაზიერი და მალე პარტიაც.

სიცილიური დაცვის დახურულ ვარიანტში გაფრინდაშვილმა ფილანოვსკაიას წინააღმდეგ მანევრული თამაში გააჩაღა. ფილანოვსკაია ვერ გაერკვა მოწინააღმდეგის სტრატეგიულ ჩანაფიქრში და ორი პაიკი დაკარგა. ამის შემდეგ ფილანოვსკაიას მეფე საშამათო ქსელში მოექცა, ფილანოვსკაია დანებდა. ჩაიკოვსკაია ნესენბოიმთან მძიმე ცაიტნოტში მოხვდა, თუმცა ამ დროს მას უკვე უარესი პოზიცია ჰქონდა. ჩქარ თამაშში ბათუმელმა მოჰადრაკემ დაკარგა ფიგურა და წაგებას შეურიგდა. ტოგონიძე დამარცხდა როოტარესთან.

ყაიმით დამთავრდა კაკაბაძე-მალინოვას, ვოლპერტ-ზატულოვსკაიასა და იგნატიევა-ბორისენკოს პარტიები.

## სათხილამურო სპორტის მასობრიობისათვის

მთაში თოვლი მოვიდა. მან ზოგან რესპუბლიკის დაბლობებიც მოინახულა. დგება ნამდვილი ზამთარი. იწყება მოთხილამურეთა ასპარეზობის პერიოდი. ბაკურიანში უკვე გატყდა თოვლის ყამირი, კოხტა გორას ფერდობზე გამოჩნდნენ შურდულზე უსწრაფესად მოსრიალე მოთხილამურეები.

ჩვენი დღევანდელი გაზეთის მეორე გვერდზე მკითხველი ნახავს მასალებს, რომლებიც მოგვითხრობენ იმ საინტერესო სათხილამურო ღონისძიებებზე, რომლებიც წელს რესპუბლიკაში ტარდება, ბაკურიანის ბაზის მზადყოფნაზე და გაეცნობა სეზონის გახსნასთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის მიერ დაწესებული თასის გათამაშების დებულებას.

წინა წლებთან განსხვავებით წელს ბაკურიანი მომზადებული შეხვდა სათხილამურო სპორტის მოყვარულებს. მზადაა 70 და 40-მეტრიანი ტრამპლინები, გაწმენდილ იქნა სლალომისა და სწრაფდაშვების ტრასები, შეკეთდა ბაზები და სხვა. ეს მეტად სასიხარულო ცნობებია, მაგრამ სიმართლე რომ ვთქვათ, განა მარტო ბაკურიანით შეიძლება მასობრივად დავნერგოთ სათხილამურო სპორტი? რასაკვირველია არა. ბაკურიანი კარგია, როგორც საკავშირო სათხილამურო მნიშვნელობის ბაზა, როგორც მაღალი თანრიგის სპორტსმენთა მომზადების კერა, მაგრამ ეს შესანიშნავი ზამთრის კურორტი როგორც არ უნდა მოვრთოთ და მოვკაზმოთ, აღვჭურვოთ ტექნიკით, სათხილამურო სპორტის მასობრიობის საკითხს არავითარ შემთხვევაში არ გადაჭრის. საჭიროა მარტივი ტიპის ბაზები მოეწყოს რესპუბლიკის თოვლიან რაიონებში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში.

უნდა ვუსაყვედუროთ მესტიის რაიონის ფიზკულტურელებს. რესპუბლიკა ბევრს მოელოდა სათხილამურო სპორტში მესტიიდან, ვფიქრობდით, რომ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში ბორჯომელებთან, თბილისელებთან ერთად მესტიელებიც მრავლად იქნებოდნენ, მაგრამ იმედები არ გამართლდა. სამწუხაროა, რომ სამხრეთ ოსეთი, კერძოდ, ჯავისა და სტალინირის რაიონები სრულიად გამოეთიშნენ სათხილამურო სპორტს. უკვე მეორე წელია, რაც სამხრეთ ოსეთის ნაკრებ გუნდს არ მიუღია მონაწილეობა რესპუბლიკურ პირველობაში. აჭარაში უკანასკნელ წლებში გამოცოცხლდა ამ მიმართებით მუშაობა, ჩატარდა შეჯიბრებებიც, მაგრამ ნამდვილი მასობრიობიდან, რომელსაც რესპუბლიკის სპორტული ინტერესები მოითხოვს, ჯერ კიდევ შორს ვართ.

როგორ გამოიყურება რესპუბლიკის მოთხილამურეთა ნაკრები გუნდი საკავშირო სარბიელზე? სუსტად. იმდენად სუსტად, რომ ვასული წლის შედეგების გახსენებაც კი არა ღირს. სეზონურობის მავნე სენი რომ არა, ასეთი მდგომარეობა არ გვექნებოდა. ჩვენთან ასე დადგინდა: მოთხილამურე (ზოგიერთის გამოკლებით) თოვლის მოსვლამდე „ისვენებს", მეცადინეობას მხოლოდ მაშინ იწყებს, როცა თოვლი მოვა, ფორმაში შესვლას ვერ ასწრებს და შეჯიბრებაზე დაბალი შედეგებით გამოდის. სათანადო ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს იმას, რომ მოთხილამურე ზაფხულშიც მეცადინეობდეს, რომ ყოველი მათგანი მონაწილეობდეს სპორტის სხვადასხვა სახეობის შეჯიბრებებში.

სათხილამურო სპორტს ადამიანის ფიზიკურ გამოწრთობაში დიდი წვლილი შეაქვს. მისი ფართოდ დანერგვა დიდად შეუწყობს ხელს კომუნიზმის მშენებელი ხალხის ჯანმრთელობის განმტკიცებას. ამიტომ ძირეულმა კოლექტივებმა ამ საქმეში თავისი სიტყვა უნდა თქვან. აუცილებელი არ არის, რომ ყველა მათგანმა შეჯიბრებები ბაკურიანში მოაწყოს. თბილისის გარშემოც არის ისეთი ადგილები, სადაც შეიძლება თხილამურებით სრიალი, გასეირნების, ლაშქრობების მოწყობა და სხვ. საჭიროა მხოლოდ მონდომება და საქმისადმი სიყვარული.



## რესპუბლიკის პირველობა

კალათბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო და დაძაბული შეხვედრა გაიმართა 24 ნოემბერს ქუთაისისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის ვაჟთა გუნდებს შორის. ეს მატჩი პრინციპული იყო იმითაც, რომ გამარჯვებული კოლექტივი უნივერსიტეტის გუნდთან ერთად მესამე ადგილისათვის ბრძოლის უფლებას ღებულობდა.

შეხვედრის პირველ ნახევარში ინიციატივა თბილისელთა მხარეს იყო, რომლებმაც ტაიმი მოიგეს 10 ქულით. სურათი მთლიანად შეიცვალა თამაშის მეორე ნახევარში. ქუთაისელმა კალათბურთელებმა, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ქელბაქიანი, ტყაბლაძე და გეგუჩაძე, ხელთ იგდეს ინიციატივა და მთლიანად დაეპატრონენ მოედანს. ანგარიშში განსხვავება თანდათან შემცირდა და ბოლოს, 31 წუთზე გათანაბრდა კიდეც — 42:42. ამას მოჰყვა ჰაბუკიანისა და ქელბაქიანის ზუსტი სროლები და ქუთაისის გუნდი გავიდა წინ — 46:42.

ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა სცადეს დაკარგული ინიციატივის აღდგენა, რაც ნაწილობრივ შეძლეს კიდეც მიქაძის წყალობით. ანგარიში გახდა 54:52. შეხვედრის დამთავრებას აკლდა 40 წამი, როცა ოქმში აღინიშნა საყაიმო ანგარიში — 56:56. ეჭვს უკვე აღარ იწვევდა ის, რომ გუნდები თამაშს დამატებით 5 წუთში გააგრძელებდნენ, მაგრამ მიქაძე მოულოდნელად დაჯარიმდა და ტყაბლაძემ ზუსტი ტყორცნით გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს — 57:56.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ქუთაისის გუნდმა (მწვრთნელი სპორტის ოსტატი ს. თორთლაძე) ჩემპიონატში კარგი შთაბეჭდილება დატოვა. პირველ რიგში მისასალმებელია ის, რომ კოლექტივი ძირითადად ნიჭიერი, ბრძოლისუნარიანი ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული, რომლებიც თავგანწირვით იბრძვიან ყოველი ქულისათვის. ახალგაზრდა კალათბურთელებს აქვთ კარგი ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება.

ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში გაიმართა ფინალური შეხვედრები. ქალთა გუნდებს შორის რესპუბლიკის ჩემპიონის წოდებისათვის იბრძოდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის კალათბურთელები. მატჩის პირველივე წუთიდან ინიციატივა ხელთ იგდეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა, რომლებმაც მიაღწიეს დამსახურებულ გამარჯვებას — 81:49.

გაცილებით საინტერესოდ წარიმართა ბრძოლა პირველი ადგილისათვის ვაჟთა შორის. საპატიო ტიტულს ერთმანეთს ეცილებოდნენ „ა" კლასის საკავშირო ჩემპიონატის მონაწილენი — თბილისის „დინამო" და პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ბრძოლა უაღრესად მძაფრი და შეუპოვარი იყო. დინამოელებმა შეხვედრის პირველი ნახევარი მოიგეს სამი ქულით — 38:35, მეორე ნახევარში „დინამო" ერთხანს საგრძნობლად დაწინაურდა და განსხვავებამ ანგარიშში 10 ქულას მიაღწია, მაგრამ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა მცირე ლეს განსხვავების [illegible] დაყვანა. შეხვედრა მაინც დინამოელებმა მოიგეს (85:79), რომლებიც მთლიანად უფრო აქტიურად და გამიზნულად მოქმედებდნენ.

ინსტიტუტის გუნდში ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა მაღალი ტანის მოთამაშე ლექავა, რომელმაც კოლექტივს 30 ქულა მოუტანა. კარგად ჩაატარეს შეხვედრა აჩბამ და ლომაძემ. დინამოელთა შორის შედეგიანობის ხარისხი უფრო თანაბარი იყო. ხაზარაძემ გუნდს მოუტანა 19 ქულა, მინაშვილმა — 18, ინწკირველმა — 17.

ჩემპიონატის მსვლელობის დროს მოეწყო შეჯიბრება საჯარიმო სროლებში. ვაჟთა შორის გაიმარჯვა დინამოელმა კილაძემ, რომელმაც ზედიზედ შეუცდომლად 58 საჯარიმო მოათავსა კალათში. ქალთა შორის საუკეთესო შედეგი ჰქონდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენელს ვარტიკოვას — 22.

ადგილები ჩემპიონატში განაწილდა შემდეგნაირად: **ვაჟები** — 1. „დინამო" (თბილისი), 2. პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 3. უნივერსიტეტი, 4. ქუთაისი, 5. ფიზკულტურის ინსტიტუტი, 6. სამტრედია, 7. გორი, 8. აფხაზეთი, 9. განათლების განყოფილება, 10. წყალტუბო, **ქალები** — 1. პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 2. უნივერსიტეტი, 3. აფხაზეთი, 4. ქუთაისი, 5. „დინამო" (თბილისი), 6. გორი, 7. ფიზკულტურის ინსტიტუტი, 8. წულუკიძე, 9. ჭიათურა, 10. განათლების განყოფილება.

ჯ. ანთია,
ნ. გუგუშვილი.

## სსრ კავშირის პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში

საბჭოთა კავშირის პირად-გუნდურ პირველობაზე კლასიკურ ჭიდაობაში, რომელიც ლვოვში მიმდინარეობს, მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის უძლიერესი სპორტსმენები. საქართველო ამ შეჯიბრებაში გამოდის ორი გუნდით.

ჩემპიონატში გათამაშებული ხუთი წრის შემდეგ საქართველოს გუნდიდან ფინალში გასვლისათვის იბრძვიან ლუდუშაური, სეფაშვილი, ქორიძე, გვანცელაძე, სინაურიძე, აბაშიძე (პირველი გუნდიდან), მინასიანი და გველესიანი (მეორე გუნდიდან).

უმჩატეს წონაში ჩვენი პირველი გუნდის ღირსებას იცავდა შეყრილაძე. იგი წესრიგის დარღვევისათვის მთავარ მსაჯთა კოლეგიამ მოხსნა ჩემპიონატიდან, რის გამოც გუნდმა 40 საჯარიმო ქულა მიიღო. მჩატე წონაში ეგაძემ მეხუთე წრეში დააგროვა 7 საჯარიმო ქულა და გამოითიშა შემდგომი ბრძოლიდან. ლუდუშაურს და სეფაშვილს აქვთ 5-5 საჯარიმო ქულა. ქორიძეს, რომელიც მსუბუქ წონაში მონაწილეობს, ჯერჯერობით მხოლოდ ერთი საჯარიმო ქულა აქვს (ოთხი სუფთა მოგება და ერთი — ქულებით). გვანცელაძე ბრძოლას აგრძელებს 4 ქულით, ხოლო სინაურიძე — 5 ქულით.

ხუთი შეხვედრიდან ხუთი სუფთა მოგება აქვს მსოფლიოს ჩემპიონს ქვემძიმე წონაში რ. აბაშიძეს. მძიმე წონის მოჭიდავემ ო. კანდელაკმა უკვე დაამთავრა შეჯიბრება. იგი მე-12 ადგილზეა.

შეჯიბრება დამთავრდა გუშინ, გვიან ღამით.

საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მოკრივეთა ამხანაგური შეხვედრებ ტრადიციად იქცა. მათ შორის უკვე შედგა 6 მატჩი, საიდანაც 5 საბჭოთა მოკრივეებმა მოიგეს, ხოლო ერთი ფრედ დამთავრდა.

24 ნოემბერს მოსკოვის სპორტის სასახლეში შედგა ამ გუნდების მეშვიდე შეხვედრა, რომელმაც უდიდესი ინტერესი გამოიწვია დედაქალაქის სპორტულ საზოგადოებრიობაში: დარბაზში არ იყო არც ერთი თავისუფალი ადგილი.

## სსრკ-გფრ

გერმანელები საგანგებოდ ემზადებოდნენ მატჩისათვის და ვარაუდობდნენ, რომ წარმატებით დაამთავრებდნენ მას, მაგრამ მათი პროგნოზები არ გამართლდა: 10 წყვილიდან 8 დამთავრდა საბჭოთა მოკრივეების გამარჯვებით და მხოლოდ 2 მოიგეს გერმანელებმა.

ევროპის ჩემპიონმა უმძიმეს წონაში მ. ჰომბერგმა დაძაბულ ბრძოლაში ძლია საბჭოთა კავშირის ჩემპიონს ვ. სტოლნიკოვს, ხოლო მსუბუქ წონაში ჰ. ჰერპერმა (გფრ) გაიმარჯვა მ. კოკოშკინთან შეხვედრაში. დანარჩენ წონითს კატეგორიებში უპირატესობა საბჭოთა მოკრივეების მხარეს იყო: ო. გრიგორიევმა მოუგო კ. ეიკელმანს, ბ. ნიკანოროვმა — მ. ჰანერს, ვ. ენგიბარიანმა — გ. დიტერს, ი. გრომოვმა — მ. კოხს, ა. კისელევმა — უ. კნასტს, გ. შატკოვმა — გ. მადაის, ა. ლიასოტამ — დ. პლიაშკას და ა. აბრამოვმა — პ. რეინგოლდს.



## სეზონი საინტერესო იქნება

მეტად საინტერესო იქნება მიმდინარე ზამთრის სპორტული სეზონი. ბაკურიანში განზრახულია მთელ რიგ საკავშირო და რესპუბლიკურ ღონისძიებათა ჩატარება სათხილამურო სპორტში. 26-28 დეკემბერს გაზეთ „ლელოს“ პრიზით სეზონის გახსნის შემდეგ 10-14 იანვარს გაიმართება სამთო ორჭიდელთა და ტრამპლინიდან მხტომელთა საკავშირო შეჯიბრება, ხოლო 7-12 თებერვალს მოეწყობა ჩვენი ქვეყნის პირველობა ესტაფეტაში, აგრეთვე უძლიერეს მორბენალთა შეჯიბრება.

ორი დიდი მასშტაბის ღონისძიების ჩატარება აქვს განზრახული უმაღლესი სასწავლებლების სპორტსაზოგადოებას. „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს პირველობის შემდეგ, რომელიც 25-28 იანვარს მოეწყობა (ამავე პერიოდში გაიმართება თბილისის პირველობაც), საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები მონაწილეობას მიიღებენ ზონალურ შეჯიბრებაში. სომხეთის სპორტსმენებთან. ზონალურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდი მოიპოვებს სტუდენტთა საკავშირო შეჯიბრების ფინალში მონაწილეობის უფლებას, რომელიც თებერვლის პირველ რიცხვებში ჩატარდება სლალომსა და სწრაფდაშვებაში (ბაკურიანში), ხტომასა და ორჭიდში (გორკში), ხოლო მორბენალთა პირველობა გაიმართება ლენინგრადში.

რესპუბლიკური პირველობის დამთავრების შემდეგ (1-5 თებერვალი) საქართველოს სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო ტრადიციულ შეჯიბრებაში, რომლის პროგრამით გათვალისწინებული პირველობა ხტომასა და ორჭიდში ნავარაუდევია ლენინგრადში. სლალომსა და გიგანტურ სლალომში შეჯიბრება მოეწყობა ვორონეტაში, პერმში გაიმართება სოფლის ფიზკულტურელთა პირველობა.

ახლა საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციები ადგილებზე ემზადებიან კომკავშირულ-პროფკავშირულ სათხილამურო კროსის ჩასატარებლად. ბაკურიანში შეკეთდა სათხილამურო ბაზა, წესრიგშია მოყვანილი 40 და 70-მეტრიანი ტრამპლინები, დამთავრდა საბაგირო გზის შესაკეთებელი სამუშაოები, მიმდინარე სეზონში იგი განუწყვეტლივ იმუშავებს. როგორც მაღალი თანრიგის სპორტსმენების, ისე დამწყებთათვის. ბაკურიანის პარკში დამწყებთათვის მოეწყობა სლალომის სპეციალური ტრასა, რაც სპორტის ამ სახეობის მოყვარულებს საშუალებას მისცემს აიმაღლონ თავიანთი ტექნიკა.

**ა. ხერხაძე**

ბაკურიანი გვეძახის, გადათოვლილა სერები,
თვალის მომჭრელად ბრწყინავენ ნაძვნარიანი ველები.

# რესპუბლიკის ერთ-ერთი შესანიშნავი ზამთრის კურორტი ყოველმხრივ სანიმუშო უნდა იყოს

ბაკურიანში დადგა ზამთარი, ჩამოთოვა, მალე არემარეს ახალგაზრდების მხიარული ჟრიამული გაავსებს. ცხადია სასურველ სტუმრებს, რომლებმაც სიხალისე უნდა შეიტანონ დაბის ცხოვრებაში, სათანადო დახვედრა უნდათ. ამისათვის კი საჭიროა აქ არსებული ბაზები მზად იყოს პირველივე ნაკადის მისაღებად.

ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა და სათხილამურო სექციამ დროულად განიხილა ბაკურიანის ბაზების ზამთრის სეზონისათვის მზადების საკითხი და დასახა სათანადო ღონისძიებანი, რომელთა განხორციელების შემდეგ თითქმის უკვე მზად არის აქ არსებული ბაზები. „დინამოს“, „ბურევესტნიკის“, ტურისტთა და რესპუბლიკური კომიტეტის ბაზებმა თავიანთი მარაგი შეავსეს ახალი საჭურველით.

ზამთრის სპორტული სეზონის წარმატებით მომზადებისათვის სათანადო დახმარება გაგვიწიეს ბორჯომის რაიონის ხელმძღვანელებმა, რომლებმაც განსაკუთრებით ბევრი გააკეთეს ბაზების შეკეთებისათვის საჭირო მასალების უზრუნველყოფისათვის.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ზამთრის სეზონისათვის მზადების საქმეში ჯერ კიდევ ბევრია ნაკლოვანებები. განსაკუთრებით ცუდად დგას ბაზების ტექნიკური წყლით მომარაგების საქმე, რის გამო საფრთხე ემუქრება შხაპების რეგულარულ მუშაობას შეკრებისა და შეჯიბრებების პერიოდში. დღემდე გადაუწყვეტელი რჩება დაბის ელექტროენერგიით მომარაგების საკითხიც, რადგან დროებითი მცირე ძაბვის დანადგარები ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. სწორედ ელექტროენერგიის სიმცირითაა გამოწვეული ისიც, რომ ბაზებში ისე, როგორც დაბაში არარეგულარულად მუშაობს რადიოქსელიც, რაც სპორტსმენთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

მიზანშეწონილი იქნებოდა თუ ზამთრის პერიოდში ბორჯომ-ბაკურიანის გზატკეცილის ხშირი თოვლისაგან გაწმენდის მიზნით გამოყოფილი იქნებოდა თუნდაც ერთი ბულდოზერი, რაც საგრძნობლად გაგვიადვილებდა ბაზების პროდუქტებით მომარაგების საქმეს.

რაკი ამ საკითხს შევეხეთ, უნდა ვუსაყვედუროთ კურორტვაჭრობისა და რაიკავშირის მუშაკებს, რომ ისინი წლების განმავლობაში არასერიოზულად ეკიდებიან ბაზების მომარაგებას სპორტსმენებისათვის საჭირო მაღალხარისხოვანი პროდუქტებით. მართალია, აქ საკმაოდ შემოაქვთ (ალბათ გასაღების მიზნით) ძვირფასიანი თამბაქოს ნაწარმი, ალკოჰოლიანი სასმელები (რაც დაუშვებელია), მოძველებული საკონდიტრო ნაწარმი, მაშინ, როცა აუცილებელი იყო მეტი მზრუნველობა გამოეჩინათ ხილის, ციტრუსების, ლიმონათის, მინერალური წყლების, შაქრის, ძეხვეულის და ახალი საკონდიტრო ნაწარმის შემოზიდვისათვის.

თუ ბორჯომის რაიონის ხელმძღვანელობა ამ საკითხების მოგვარებაშიც სათანადო დახმარებას გაგვიწევს, შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე სპორტულ სეზონში ბაკურიანში ჩამოსულებიდან არავინ დარჩება გულნაკლული წვრთნისა და შეჯიბრებისათვის შექმნილი პირობებით, მითუმეტეს, წელს აქ რამდენიმე რესპუბლიკური და საკავშირო ღონისძიების ჩატარებაა ნავარაუდევი.

**ლ ფანჯაკიძე,**
**სათხილამურო ბაზის დირექტორი.**

# ჩვენი გაზეთის ჯილდოზე

### რესპუბლიკაში სათხილამურო სპორტული სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება

მიმდინარე წლის 26-28 დეკემბერს ბაკურიანში მეორედ მოეწყობა სათხილამურო სპორტული სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი ფიზკულტურის ძირეული კოლექტივების შეჯიბრება გაზეთ „ლელოს“ გარდამავალ პრიზზე, რომელიც მიზნად ისახავს სათხილამურო სპორტის მასობრიობის განვითარებას, სპორტსმენთა ოსტატობის შემდგომ ზრდას, შემოდგომის პერიოდში მოთხილამურეთა წვრთნის ხარისხის შემოწმებას, ახალგაზრდებს შორის ნიჭიერ სპორტსმენთა გამოვლინებას.

შეჯიბრების მომზადებასა და ჩატარებას ხელმძღვანელობს სათხილამურო სპორტის რესპუბლიკური სექცია. შეჯიბრების ჩატარება უშუალოდ ეკისრება ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის მიერ დამტკიცებულ მსაჯთა კოლეგიას.

ისევე, როგორც შარშან, მიმდინარე წლის შეჯიბრებაზე დაიშვებიან მონაწილენი 1. სლალომში — 12 წლის ასაკიდან. 2. რბენაში — ვაჟები 19 წლის ასაკიდან, ქალები — 17 წლის ასაკიდან.

სეზონის გახსნასთან დაკავშირებით მოწყობილ შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის ყოველ ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივს შეუძლია გამოიყვანოს მონაწილეთა განუსაზღვრელი რაოდენობა. ვაჟთა შეჯიბრების პროგრამაშია რბენა 15 კილომეტრზე და სლალომი, ხოლო ქალთათვის — რბენა 5 კილომეტრზე და სლალომი. სლალომის ტრასა, როგორც ვაჟთა, ისე ქალთათვის უნდა იყოს არანაკლებ მეორე თანრიგის სიძნელისა.

პირადი პირველობა გათამაშდება პროგრამის თვითეულ სახეობაში, მაგრამ ყოველ სპორტსმენს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს პროგრამის მხოლოდ ერთ სახეობაში. გუნდურ პირველობაზე დაიშვებიან ის ორგანიზაციები, რომლებსაც მონაწილეები ეყოლებათ პროგრამის ყველა სახეობაში. გუნდური პირველობის ჩათვლაში შედის თითო საუკეთესო შედეგი პროგრამის ყოველ სახეობაში. გუნდური პირველობა განისაზღვრება ვაჟთა და ქალთა საუკეთესო მაჩვენებლებით ოთხივე სახეობაში.

ის ფიზკულტურული კოლექტივები ან ნებაყოფლობითი საზოგადოებანი, რომლებიც შეჯიბრებაზე ვერ შეძლებენ მონაწილეთა გამოყვანას ყველა ოთხ ჩასათვლელ სახეობაში (ორი ვაჟი, ორი ქალი), შეჯიბრებაში მონაწილეობენ მხოლოდ პირად პირველობაზე.

პირველ ადგილზე გამოსული კოლექტივი დაჯილდოვდება გაზეთ „ლელოს“ გარდამავალი პრიზითა და პირველი ხარისხის დიპლომით, ხოლო მეორე და მესამე ადგილებზე გამოსულ გუნდებს მიეცემათ შესაბამისი ხარისხის დიპლომები. პირად ჩათვლაში საპრიზო ადგილებზე გამოსულ სპორტსმენებს გადაეცემათ ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის დიპლომები.

განაცხადი შეჯიბრებაში მონაწილეობაზე წარმოდგენილ უნდა იქნას 15 დეკემბრამდე ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის სპორტულ განყოფილებაში (თბილისი, ჯაფარიძის ქ. № 4). პირად პირველობაში მონაწილე სპორტსმენებმა განაცხადები უნდა წარუდგინონ მსაჯთა კოლეგიას ბაკურიანში მიმდინარე წლის 26 დეკემბრამდე.

გასული წლის შეჯიბრებისაგან განსხვავებით დებულებაში შეტანილია ზოგიერთი ცვლილება. თუ შარშან მონაწილე კოლექტივები თავიანთი სახსრებით ჩამოდიოდნენ და საკუთარი თანხით იკვებებოდნენ, ახლა შეჯიბრებაში მონაწილეთა ხარჯებს (გზა, ინვენტარი) უზრუნველყოფს შეჯიბრებაში მონაწილე ორგანიზაცია, ხოლო კვებისა და ბინის ხარჯებს უზრუნველყოფს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტი.

როგორც ცნობილია, შარშან ჩვენი გაზეთის პრიზის პირველი მფლობელი გახდა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი, მაგრამ იგი მოპოვებულ იქნა მხოლოდ სამ გუნდთან ბრძოლაში, ვინაიდან თოვლიანი რაიონების უმეტესობამ არ გამოგზავნა გუნდები შეჯიბრებაზე. იმედია, წელს მონაწილეთა რაოდენობა მეტი იქნება, მით უმეტეს, რომ სულ მალე მათ სპორტსმენებს რესპუბლიკურ პირველობაში მოუხდებათ მონაწილეობის მიღება.



**ბაკურიანის პეიზაჟი**

ფოტო გ. თიკანაძისა.



როსტოვის არმიელ ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც მომავალი წლიდან „ა" კლასში ითამაშებს. ფოტო მ. ზარგარიანისა.

# როსტოვი — დიდი ფეხბურთის ქალაქი

„. მიმდინარეობდა სევასტოპოლისა და როსტოვის არმიელ ფეხბურთელთა მატჩი, რომელსაც ესწრებოდნენ მოსკოველი ვეტერანი ფეხბურთელები. მატჩის დამთავრების შემდეგ სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. ბაშაშკინმა თქვა:

— საოცარია! თბილისში შეიკრიბნენ „ბ" კლასის საუკეთესო გუნდები, თამაშის ნამდვილ კლასს კი, რატომღაც, ვერა ვხედავ.

დიახ, ფინალურ ტურნირში მონაწილეობდნენ „ბ" კლასის უძლიერესი გუნდები, 6 ზონაში გამარჯვება მოიპოვეს ოდესის, ლვოვის, როსტოვის, სვერდლოვსკის, ხაბაროვსკის არმიელებმა და სევასტოპოლის მეზღვაურებმა. ასე, რომ ამ ტურნირისათვის თავისუფლად შეიძლებოდა შეიარაღებული ძალების ჩემპიონატის დარქმევა. არმიელ ფეხბურთელებს ჯერ არა ჰქონიათ ასეთი მასშტაბის „ტოტალური" წარმატება და ეს ფაქტი უდავოდ მეტყველებს იმაზე, რომ ფეხბურთი ჩვენს მეომრებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს.

მაგრამ სწორი იყო თუ არა ა. ბაშაშკინი, როცა ფინალისტთა კლასის შესახებ ლაპარაკობდა?

ჩემის აზრით, ყველაზე დასრულებული, შეკრული ანსამბლის შთაბეჭდილება დატოვა სვერდლოვსკის გუნდმა. ეს არც არის გასაკვირი: სვერდლოვსკელები ოდესღაც „ა "კლასში თამაშობდნენ. წელს თავიანთ ზონაში პირველი წრის დამთავრების შემდეგ, ამ გუნდმა მიმართა მოთამაშეთა განლაგების ე. წ. „ბრაზილიურ" სისტემას 1+4+2+4. კარგად შერჩეული, ტექნიკურად მომზადებული და გამოცდილი მოთამაშეები სწრაფად შეეგუენ თავიანთ ახალ ფუნქციებს. შემადგენლობა დარწმუნებულად. დამაჯერებლად ატარებდა მატჩებს. მე-5 ზონის გუნდებმა, სადაც თამაშობდნენ სვერდლოვსკელები, ვერაფერი მოძებნეს მეთხე მცველის წინააღმდეგ რაზეც ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ პირველ წრეში არმიელებმა თავიანთ კარში მიიღეს 15 ბურთი, ხოლო მეორე წრეში — მხოლოდ 4. გათამაშების დამთავრებამდე 4 ტური იყო დარჩენილი და ურალელებს უკვე განაღდებული ჰქონდათ პირველი ადგილი ზონაში. მათ ადრე დაამთავრეს გათამაშება თავიანთ ზონაში და ინტენსიურად ემზადებოდნენ ფინალისათვის.

მაგრამ ბრძოლა სხვა ზონებში ასე იოლი როდი იყო. ავიღოთ, მაგალითად, მე-4 ზონა. ვადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ ზონაში მოექცნენ „ბ" კლასის საუკეთესო გუნდები (ერევნის „სპარტაკი", თბილისის სკვო და „ბურევესტნიკი", ქუთაისის „ლოკომოტივი", ბაქოს „ნეფტიანიკი", კრასნოდარის „კუბანი").

ზონის ლიდერებმა როსტოვის სკვო-მ და ერევნის „სპარტაკმა" უაღრესად მძაფრი ბრძოლის შემდეგ დააგროვეს ქულათა თანაბარი რაოდენობა და პირველი ადგილის გამოსარკვევად საჭირო გახდა დამატებითი მატჩის დანიშვნა.

და აი, ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს მუშაკთა შეცდომით როსტოველი ფეხბურთელები გადამწყვეტი შეხვედრისათვის გაგზავნილ იქნენ... დნეპროპეტროვსკში (!?). მხოლოდ აქ გაიგეს როსტოველებმა, რომ ერევნის „სპარტაკი" მათ თანაშზე უცდის თბილისში. საჭირო გახდა ხელახალი მგზავრობა, მზადება შეფერხდა. მიუხედავად ამისა, როსტოველებმა მაინც შეძლეს გადამწყვეტი მატჩის მოგება და გავიდნენ ფინალში.

არანაკლებ „ეკლიანი" იყო გზა ფინალისაკენ სევასტოპოლის მეზღვაურთათვის. მხოლოდ უკანასკნელი მატჩის მოგებამ როსტოვის „როსტსელმაშთან" მისცა საშუალება მეზღვაურებს გასულიყვნენ ფინალში.

კიდევ უფრო ძნელი აღმოჩნდა გათამაშება ლვოვის ფეხბურთელთათვის. 45 დღის განმავლობაში ისინი ან კალენდარულ მატჩს თამაშობდნენ ან მატარებელში ისხდნენ და ახალი მატჩის ჩასატარებლად მიემგზავრებოდნენ. მოთამაშეები უკიდურესად გადაიღალნენ და ეს გუნდს განსაკუთრებით ეტყობოდა ფინალურ მატჩებში.

ვფიქრობ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ პირველი ზონა ერთ-ერთი ყველაზე სუსტად იოვლებოდა და გამარჯვებულმაც — ოდესის გუნდმა, თბილისში აჩვენა საკმაოდ მდარე ხარისხის თამაში მოკლე, ხშირი გადაცემებით. ძირითადში დაბალი იყო მოთამაშეთა ინდივიდუალური ტექნიკა.

ჩვენი ქვეყნის სპორტული ცენტრებიდან დიდი დაშორებით იმყოფება ხაბაროვსკი და აქაური მოთამაშეები ვერ ხედავენ ე. წ. „დიდ ფეხბურთს". ამიტომ მოულოდნელი არაა, რომ ხაბაროვსკელებმა ფინალში ბოლო ადგილი დაიკავეს. მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმას, რომ ფეხბურთმა შორეულ აღმოსავლეთში ამ უკანასკნელ ხანებში დიდი აღმავლობა განიცადა. ამაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც კრასნოიარსკის „ლოკომოტივის" გამარჯვება სსრ კავშირის თასზე ლენინგრადის „ზენიტთან" შეხვედრაში.

ა. ბაშაშკინი მართალი იყო იმაში, რომ „ბ" კლასის ფავორიტებმა ფინალში ვერ აჩვენეს შესაფერისი კლასი და ტაქტიკურ-ტექნიკური მომზადება, თამაშები დიდ სპორტულ ღირებულებას არ წარმოადგენდა (გამონაკლისია მხოლოდ უკანასკნელი, გადამწყვეტი შეხვედრა როსტოვისა და სვერდლოვსკის გუნდებს შორის). მაგრამ მხედველობაში აუცილებლად უნდა მივიღოთ ის, რომ სეზონის დასასრულს თავს იჩენს მოთამაშეთა დაღლილობა, დიდი ხნის მანძილზე გადატანილი ფიზიკური დატვირთვა. ასეა ყოველთვის „ა" კლასშიც, სადაც სეზონის დასასრულს უძლიერესი გუნდები და ფეხბურთელები გამოდიან ფორმიდან და შედარებით უარესად ატარებენ შეხვედრებს.

და მაინც, განვლილი ტურნირის მონაწილე გუნდებიდან შეიძლება გამოვყოთ მოთამაშეთა მთელი რიგი, რომლებმაც კარგი მონაცემები გამოავლინეს. ესენია, პირველ ყოვლისა: მოსალევი, ვოლჩენკოვი, პავლოვი, კიკტევი, ჩერტკოვი (როსტოვი); კოპაევი (ლვოვი); გრუზდევი (ხაბაროვსკი); კაპუსტიანოვი, ბუცკი (სევასტოპოლი); პერშინი, პრიმაკი (ოდესა); კონცევოვი, ლუკაშენკო, პივიკოვი, ბროვკინი, ნევეროვი (სვერდლოვსკი) და სხვანი, რომელთა რიგებიდან იმედია მომავალში აღიზრდებიან მაღალი კლასის ფეხბურთელები.

როგორც სპეციალისტთა, ისე მაყურებელთა შორის თბილისში სრულიად საწინააღმდეგო შეხედულება არსებობდა როსტოვისა და სვერდლოვსკის გუნდების შესახებ. ზევრს მიაჩნდა, რომ სვერდლოვსკის არმიელები თავიანთი გეგმიანი, ტაქტიკურად აწყობილი თამაშით სხვებზე გაცილებით ძლიერნი იყვნენ, მაგრამ სათანადო უნდა მიეზღას როსტოვის გუნდსაც (იგი ყველაზე ახალგაზრდაა ასაკით, საშუალოდ — 22,5 წელი). შეიძლება როსტოველთა ტექნიკა და ტაქტიკა ჩამორჩება მათი მთავარი მოწინააღმდეგისას, მაგრამ ამისი სრული კომპენსაცია ხდება გამარჯვებისადმი უდიდესი სწრაფვით, ახალგაზრდული ენერგიით, დიდი ფიზიკური დატვირთვით. გარდა ამისა, როსტოველთა მოულოდნელ გარღვევებს გრძელი გადაცემებით დიდი ეფექტი მოაქვს ყოველ თამაშში. ყოველ შემთხვევაში, როსტოველებმა სავსებით დამსახურებულად მოიგეს 4 შეხვედრა და ფრე დაამთავრეს გადამწყვეტ შეხვედრაში, რომელიც აბსოლუტური ობიექტივობით ჩაატარა პ. ბელოვმა (ლენინგრადი).

როსტოვი დიდი სპორტული ქალაქია, სადაც მრავალი საფეხბურთო კოლექტივი არსებობს. არმიელებს შეუძლიათ კიდევ შეარჩიონ მოთამაშეები, უკეთ დააკომპლექტონ გუნდი და ისე მოემზადონ მომავალი სეზონისათვის, რომ არ გაიმეორონ ლენინგრადის „ადმირალტეეცის" მწვავე გაკვეთილი.

ა ლეონჩიევი,
სპორტის ოსტატი.

# თბილისელთა გამარჯვება

## საქართველოს პირველობა აკრობატიკაში

გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დარბაზში დამთავრდა საქართველოს პირველობა აკრობატიკაში, რომელშიც მონაწილეობდნენ აფხაზეთის, აჭარის, რუსთავისა და თბილისის ნაკრები გუნდები.

ხტომით ვარჯიშებში საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა თბილისელმა რ. ლიტვინოვმა, რომელმაც თანაბარი სიძლიერით შეასრულა ყველა ვარჯიში. მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისის II გუნდის წარმომადგენელი ე. ამისონიანი, რომელმაც წელს პირველად შეასრულა ოსტატის ნორმა. პირველი თანრიგის მხტუნავე ვაჟებს შორის ქულათა თანაბარი რაოდენობა — 74,05 დააგროვეს თბილისელმა ნ. მიქავამ და სოხუმელმა ლ. მილმანმა, რომლებმაც გაიყვეს პირველი-მეორე ადგილები. ქალთა შორის უძლიერესი იყო რუსთავის წარმომადგენელი ტ. ტოკარევა, რომელმაც დააგროვა 73,05 ქულა. მეორე ადგილზეა ვ. თარხანოვა (თბილისი I).

შერეულ წყვილთა შორის, როგორც სავალდებულო ისე ნებისმიერი ვარჯიშები, ზუსტად და მაღალი გემოვნებით შეასრულეს ვ. მაკლაკოვამ და ო. კაკიაშვილმა (თბილისი), რომლებმაც კონკურენციის გარეშე დაიკავეს პირველი ადგილი და დიდი განსხვავებით მოუგეს მეორე ადგილზე გამოსულ ლუდცევსა და დოვგიალოს (აჭარა).

1958 წლის ახალი საკლასიფიკაციო პროგრამით აკრობატიკაში შეტანილია კიდევ ერთი სახეობა — ქალთა წყვილების ვარჯიში. აქ რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვეს ნ ლივარდიმ და ლ. ჯოჯუამ (თბილისი I). მეორე ადგილი წილად ხვდ- დ. ბეციაშვილსა და ნ. გილაძეს (თბილისი II). აღსანიშნავია, რომ ორივე წყვილი მაღალ [illegible] რულებდა ვარჯიშებს.

ვაჟთა წყვილებს [illegible] სამლებლიდან 108,55 ქულა დააგროვეს აჭარის გუნდის წარმომადგენლებმა გ. დოლიძემ და ვ. ტაჩიონიმ, რომლებმაც ჩემპიონატში დაიკავეს პირველი ადგილი. გამარჯვებულებს 5,5 ქულით ჩამორჩნენ თბილისის I გუნდის წევრები ვ. გაფრინდაშვილი და ს. არშაკიანი.

ვარჯიშების სირთულით, მონაწილეთა ურთიერთშეთანხმებითა და შეწყობით, აგრეთვე ვარჯიშების მრავალფეროვნებით აკრობატიკაში ყოველთვის გამოირჩევა ჯგუფური ვარჯიშები. თბილისის ახალგაზრდა ოთხეულმა, რომლის შემადგენლობაში არიან შ. ამონიშვილი, გ. მთვარელიძე, ი. მოქია და რ. სიმონიანი, დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ქვეითა მოვარჯიშე ი. მოქია სათანადო სიზუსტით ვერ ასრულებს ელემენტებსა და ნაერთებს თავისუფალ ვარჯიშში. მან მეტი უნდა იმუშაოს საკუთარ თავზე, მეტი პასუხისმგებლობით მოეპყრას შეჯიბრებას, რათა საქართველოს გუნდი წარმატებით გამოვიდეს საკავშირო ჩემპიონატში. განვლილ რესპუბლიკურ პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა აჭარის გუნდმა — ვ. ჯლარკავა, ა. ვერჩენკო, ნ. ავეტისოვი და ბ. პეტროსიანი. ეს ოთხეული კარგად და დახვეწილად ასრულებს ტემპიან, დინამიურ ვარჯიშებს, მაგრამ მათ მეტი პასუხისმგებლობა მართებთ ხალიჩაზე გამოსვლის დროს.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება მოიპოვეს თბილისის I გუნდის აკრობატებმა. მათ დიდი განსხვავებით ჩამორჩნენ მომდევნო ადგილებზე გამოსული აჭარისა და რუსთავის გუნდები.

მ. ქელეხსაშვილი





სურათებზე: მარცხნივ—პირველთანრიგოსან გოგონათა წყვილში გამარჯვებული ნ. ლივარდი და ლ. ჯოჯუა. მარჯვნივ ზევით — საქართველოს ოთხეულის ჩემპიონები შერეულ წყვილში, სპორტის ოსტატები ვ. მაკლიაკოვა და ო. კაკიაშვილი.

ფოტო ს. მესროფოვისა.







თბილისის ძალოსანთა შორის უძლიერესის სახელის მოსაპოვებლად გაიმართა საქალაქო პირველობა სიმძიმეების აწევაში. სურათებზე: ზემოდან ქვევით — „კოლმეურნეს“ წარმომადგენელი ი. ყუბანეიშვილი, რომელმაც პირველი ადგილი მოიპოვა; მეორე ადგილზე გამოსული ზ. ჩოჩიევი ასრულებს აკვრას. სპორტის ოსტატს ა. გრიგორიანს ატაცით აქვს 100 კგ.

ფოტო ა. ვართანოვისა.

# ფეხბურთი

## საქართველოს პირველობა

განვლილ კვირას შედგა ბოლო ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

რთული ამოცანის წინაშე იდგნენ ბათუმის დინამოელები თავიანთ უკანასკნელ მატჩში. მათ სოხუმის „დინამოსთვის“ უნდა მოეგოთ ანგარიშით 10:0, რომ მოეპოვებინათ რესპუბლიკის ჩემპიონობა. ეს, რა თქმა უნდა, მათ ძალებს აღემატებოდა. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 3:3.

* * *

მოგვყავს XI-XIX ადგილებისათვის მებრძოლი გუნდების შეხვედრათა ტექნიკური ანგარიში: „სხივი“ (რუსთავი)-26 კომ. სახ. რ-ნი (თბილისი) — 3:0, „სპარტაკი“ (თელავი)-„სპარტაკი“ (სტალინირი) — 3:7, „ლოკომოტივი“ (სამტრედია)-„კოლმეურნე“ (ქობულეთი) — 1:1, „ოდიში“ (ზუგდიდი)-„განთიადი“ (ფოთი) — 4:4.

გათამაშების საბოლოო ცხრილი

I ჯგუფი

I-X ადგილები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტტს (თბ.) | 9 | 5 | 2 | 2 | 20:8 | 12 |
| „დინ“. (ქუთ.) | 9 | 5 | 2 | 2 | 17:10 | 12 |
| „კოლმ“. (მახ.) | 9 | 4 | 3 | 2 | 15:11 | 11 |
| „დინ“. (ბათ.) | 9 | 4 | 3 | 2 | 14:11 | 11 |
| „მეტ“. (რუსთ.) | 9 | 4 | 2 | 3 | 12:15 | 10 |
| „დინ“. (სოხ.) | 9 | 2 | 4 | 3 | 14:14 | 8 |
| „მაღ“. (ჭიათ.) | 9 | 2 | 3 | 4 | 18:16 | 7 |
| „ტორპ“. (ქუთ.) | 9 | 3 | 1 | 5 | 11:20 | 7 |
| ფიზ. ინსტ. (თბ.) | 9 | 1 | 4 | 4 | 13:19 | 6 |
| „კოლმ“. (ლანჩ.) | 9 | 2 | 2 | 5 | 11:20 | 6 |

XI-XIX ადგილები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკ“. (სამტრ.) | 8 | 5 | 3 | 0 | 19:11 | 13 |
| „სპარტ.“ (სტალ.) | 8 | 5 | 1 | 2 | 23:12 | 11 |
| 26 კომ. რ-ნი (თბ.) | 8 | 4 | 2 | 2 | 20:9 | 10 |
| „სხივი“ (რუსთავი) | 8 | 4 | 2 | 2 | 13:8 | 10 |
| „განთ“. (ფოთი) | 8 | 3 | 4 | 1 | 11:11 | 10 |
| „კოლმ.“ (ქობ.) | 8 | 2 | 2 | 4 | 9:19 | 6 |
| „განთ.“ (გორი) | 8 | 1 | 3 | 4 | 10:15 | 5 |
| „ოდიში“ (ზუგ.) | 8 | 0 | 4 | 4 | 11:18 | 4 |
| „სპარტ“. (თელ.) | 8 | 1 | 1 | 6 | 11:14 | 3 |

## საიუბილეო ჯილდოზე

25 ნოემბერს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შედგა საქართველოს ფეხბურთის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი გათამაშების მორიგი მატჩი. თამაშობდნენ თბილისის „ბურევესტნიკი“ და საქართველოს 1958 წლის ჩემპიონი თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდი.

ანგარიში მატჩის დასაწყისშივე გახსნა „ბურევესტნიკმა“: მაჭარაშვილი კარგად გავიდა მარცხენა ფრთაზე და ცენტრში გადასცა ჩიჩუას, რომელსაც არავინ უშლიდა ხელს ბურთის გატანაში — 1:0. შემდგომში ტრამვაელებმა კარგა ხნით გაათანაბრეს თამაში, მაგრამ ტაიმის დასასრულს „ბურევესტნიკმა“ [illegible] ციატივის [illegible] ლიშვილმა და ცერცვაძემ (ორჯერ) ანგარიში 4:0-მდე აიყვანეს.

მეორე ტაიმში ტრამვაელებმა საგრძნობლად გამოასწორეს თამაში და 89-ე წუთზე გაიტანეს კიდეც საპასუხო ბურთი. ანგარიშით 4:1 გაიმარჯვა „ბურევესტნიკმა“.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ფაქტს, რომ ტრამვაელთა მოთამაშეები ტაბუცაძე და გოჩალეიშვილი (გუნდის კაპიტანი) მთელი თამაშის განმავლობაში სისტემატურად უხეშობდნენ და ეკამათებოდნენ მსაჯს.

მატჩის მსაჯმა გ. ბაქანიძემ ვერ გამოიჩინა საკმაო პრინციპულობა და ვერ აღკვეთა ხულიგნობა მინდორზე.

## ფეხბურთის ახალი ამბები

### ბურთი გააქვს მეკარეს

ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ნაკრების მეკარე დოლეიში არა მარტო ჩინებულად იცავს თავისი გუნდის კარს, არამედ მოწინააღმდეგეთა კარის მტერიცაა. მას უძლიერესი დარტყმა აქვს, რაც მეტოქის საჯარიმო მოედანზე მუდამ აურზაურს იწვევს ხოლმე.

პრაღის „დინამო“, სადაც დოლეიში თამაშობს, ამას წინათ იმყოფებოდა ინგლისში. ჩეხები შეხვდნენ მეორე ლიგის გუნდს „გრიმსბი ტოვნს“. მასპინძლები ქარის წინააღმდეგ თამაშობდნენ ჩეხების ერთ-ერთმა მცველმა ბურთი მიუგორა დოლეიშის. მეკარემ უძლიერესი დარტყმით უკან დააბრუნა ბურთი, რომელიც არც ერთ მოთამაშეს არ შეხებია, ისე მოხვდა ინგლისელთა კარის ძელს და ბადეში გაეხვია.

✦

### ჩილი, 1962 წელი

ჯერ კიდევ არ დამცხრალა მსოფლიოს საფეხბურთო VI ჩემპიონატით გამოწვეული „აურზაური“ და უკვე დაიწყო მზადება VII ჩემპიონატისათვის. ჩილის ფეხბურთის ფედერაცია, რომელსაც ფიფა-მ დაავალა ჩემპიონატის ჩატარება, გაცხოველებულ მზადებაშია. ფედერაციამ გადაწყვიტა ფიფა-ს აღმასკომს მთელი რიგი წინადადებები წარუდგინოს, რომლებიც ჟურნალ „ფუსბალ-ვოჰეს“ მიმომხილველის აზრით, ევროპაში ცხარე რეაქციას გამოიწვევენ. ეს წინადადებები ჩილელებმა უნდა წარადგინონ 1960 წლის კონგრესზე, რომელიც რომში გაიმართება ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით.

პირველ წინადადებას საფუძვლად უდევს ის, რომ შვეციაში ბრაზილიელთა ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ, გაიზარდა სამხრეთ ამერიკული ფეხბურთის ხვედრითი წონა მსოფლიოში და სამხრეთ ამერიკას საჭიროა მიეცეს არა სამი ადგილი, როგორც ეს VI ჩემპიონატში იყო, არამედ ხუთი. ხაზგასმულია ისიც, რომ სამხრეთ ამერიკის სხვადასხვა ქვეყნების გუნდებს შორის დიდი განსხვავება არაა. ბრაზილიელებმა, რომლებმაც ასეთ ბრწყინვალე წარმატებას მიაღწიეს შვეციაში, შესარჩევ თამაშებში, დიდი გაჭირვებით ძლიეს პერუს გუნდს (1:1, 1:0), ხოლო სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში ვერ გაუწიეს ღირსეული წინააღმდეგობა არგენტინელებს. ამ ხუთი ადგილიდან ერთი, ცხადია, ეკუთვნის მსოფლიო ჩემპიონს (ბრაზილია), ხოლო მეორე — ჩემპიონატის ჩამტარებელ ქვეყანას (ჩილი). ეს შეიძლება არც ისე საშიში იყოს ევროპული ფეხბურთისათვის, მაგრამ ჩილელებს მეორე წინადადებაც აქვთ, რომ მონაწილეთა რიცხვი ფინალში უნდა შემცირდეს რვამდე. ამას ისინი იმით ასაბუთებენ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის ჩატარების ე. წ. შერეული (წრიულ-ოლიმპიური) სისტემა, მართებული არაა. მასპინძელთა აზრით, ფინალში 8 გუნდმა უნდა ითამაშოს წრიული სისტემით.

ამგვარად, ახალი პროექტის ავტორები 8 ადგილიდან, ევროპელებს თავაზობენ სამს, ხოლო თავიანთთვის იტოვებენ ხუთს. თავისთავად ცხადია, ასეთი წინადადება ფიფა-ს კონგრესზე დიდ დავას გამოიწვევს.

✦

### ერთიანი ნაკრებისათვის

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელი ფეხბურთელები მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერესად ითვლებიან, ისინი სისტემატურად დაბალი შედეგებით გამოდიან როგორც მსოფლიო პირველობაზე, ისე ევროპის ჩემპიონების თასზე. ეს თავისებური „ტრადიცია“ არც წელს დარღვეულა. ინგლისის ნაკრები შვეციაში მეოთხედფინალშიც ვერ მოხვდა, ხოლო ჩემპიონების თასის გათამაშებაში „ვულვერჰემპტონ უონდერერსმა“ თავის მინდორზე ვერ შეძლო საკმაოდ სუსტი „შალკე 04“-ის (გფრ) დამარცხება, ხოლო მეორე მატჩი წააგო.

ინგლისელი ჟურნალისტი ჩარლზ ბიჩანი მდგომარეობიდან გამოსვლის მხოლოდ ერთ გზას ხედავს. ესაა დიდი ბრიტანეთის ერთიანი ნაკრების შექმნა, რომელიც ბიჩანს ასე წარმოუდგენია:

მეკარე—იენგერი („ლივერპული“), მცველები—ბონდი („ვესტ ჰამი“) და ბენკსი („ბოლტონ უონდერერსი“), ნახევარმცველები—ბლენჩფლაუერი („ტოტენჰემი“), ბილ რაიტი („ვულვერჰემპტონ უონდერერსი“) და პირსი („სანდერლენდი“), თავდამსხმელები—დუგლასი („ბლეკბერნი“), მაკილროი („ბერნლეი“), სმიტი („ტოტენჰემი“), ჩარლტონი („მანჩესტერ იუნაიტედი“) და ჰოგი („ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“).

ჩამოთვლილ მოთამაშეთაგან რამდენიმე შოტლანდიელი და ირლანდიელია.

27 ნოემბერს, ა. ჯაფარიძის სახელობის ალპურ კლუბში მოსმენილ იქნება საანგარიშო მოხსენება:

„გერმანიაში (საქსონიის შვეიცარიის მთებში) ჩატარებული ასვლები“ — მომხსენებელი ვ. კვაჭაძე, „სამხატვრო აკადემიის სპორტული ჯგუფის ასვლები“ — მომხსენებელი დ. დანგაძე.

## ფიზკულტურის კომიტეტში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა: კლასიკურ ჭიდაობაში მ. ასათიანს (ქუთაისი, „ბურევესტნიკი“), თავისუფალ ჭიდაობაში — ზ. ჩხაიძეს (ბათუმი, „დინამო“), მხატვრულ ტანვარჯიშში ლ. შელიას (თბილისი, „ბურევესტნიკი“).

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭა: კლასიკურ ჭიდაობაში ამხ. ა ესებუას (სოხუმი, „განთიადი“), ჩოგბურთში — დ. შალამბერიძეს (თბილისი, „ლოკომოტივი“), ხელბურთში — ი. პარლაგაშვილს (თბილისი, „ბურევესტნიკი“), ტანვარჯიშში — ა. გაბრიაძეს (ბათუმი, „სპარტაკი“).

რედაქტორი ი. უზულავა.




30 ნოემბერი

„დინამო“ (თბილისი)

„ბურევესტნიკი“ (თბილისი)

მატჩი ჩატარდება ვ. ი. ლენინის სახელობის დარბაზში

დასაწყისი 19 ს.


28 ნოემბერი

საქართველოს 1958 წლის პირველობა

მაგიდის ჩოგბურთში

28 ნოემბერი

შეჯიბრება შედგება „განთიადის“ სპორტულ დარბაზში

საბა-სულხანის ქ. № 13. დასაწყისი დილის 10 ს. და საღამოს 5 ს.



გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“
ტელეფონები: რედაქტორის—3-89 62, მდივნისა და განყოფილებების — 3 90 84.





საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07244